ნაციონალიზმის გავლენა ქართულ პოლიტიკურ პრაქტიკაზე პოსტ-საბჭოთა გარდამავალ პერიოდში

მაგდა ლეკიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა - პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ლადარია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2015

აბსტრაქტი

წარმოგიდგენთ სამაგისტრო ნაშრომს - ნაციონალიზმის გავლენა ქართულ პოლიტიკურ პრაქტიკაზე პოსტ-საბჭოთა გარდამავალ პერიოდში. თემის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშველოვანი მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის განვითარების რაკურსს. ნაშრომი ცდილობს აღწეროს ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა და მისი გავლენა პოსტ-საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ მოვლენებზე. ამასთან მიმოიხილავს ქვეყნის შიდა და საერთაშორისო პოლიტიკრ სტრატეგიას, რომელიც განაპირობებს საქართველოს ევროპულ არჩევანს.

მეთოდოლოგია, რომელიც დოკუმენტის წესირასას არის გამოყენებული, ძირითადად, ისტორიულ მასალების შესწავლა, ტექსტების ანალიზი და პოლიტიკურ პროცესებზე დაკვირვებაა.

გამოვლინდა ის პოლიტიკური პრიორიტეტები, რომელსაც ხელისუფლებაში მოსული თითოეული მთავრობა სახავდა. თითოეული მათგანის მიზანი საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია იყო, მაგრამ „მისია“ ჯერჯერობით ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეასრულა. ევროპული ოჯახის წევრობას ხელი შეუშალა როგორც წლების განმავლობაში შიდა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, ასევე რუსეთთან ურთიერთობის გაუარესებამ. კერძოდ ომმა და რუსეთის ფედერაციის გამუდმებულმა მცდელობას, არ გაფართოვდეს როგორც ნატო, ასევე ევროკავშირი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქართული ნაციონალიზმი - ერი - სახელმწიფო - ეთნიკური უმცირესობები - საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა - ევროკავშირი - ნატო - რუსეთი.